



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 1

„30“ იანვარი 2015 წ.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განისაზღვროს ჯარიმის ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ შემოწმების აქტის შედგენის დღიდან დარღვევის გამოსწორების დღემდე შემოწმების აქტის შედგენის დღისათვის არსებული სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული ასამენებელი (სადემონტაჟო) შენობა-ნაგებობის საერთო ფართის თითოეულ კვადრატულ მეტრზე 0,1 ლარის ოდენობით.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გიორგობიანი